ურთიერთშეთანხმება N2

ქ. თეთრიწყარო 2019წ.

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ქორიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ნიუ ლუქ" წარმოდგენილი მისი დირექტორის ბონდო პაპასკირის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლის, მხარეთა შორის 2019 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" №127 ხელშეკრულების მე-11 მუხლისა და მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის 2019 წლის 18 დეკემბრის N3847 წერილის საფუძველზე შევიდეს შესაბამისი ცვლილებები ამავე ხელშეკრულების პირველ და მე-2 პუნქტებში, ხელშეკრულებიდან ამოღებული იქნას სოფელ ჩხიკვთაში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის ქსელის მოწყობა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქსოვრეთში სასმელის წყლის სათავე ნაგებობის ქსელის მოწყობის, სოფელ გუდარეხში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის და სოფელ ვაკეში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა."

,,2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 24335,62 (ოცდაოთხი ათას სამასოცდათხუთმეტი ლარი და 62 თეთრი) მათ შორის: სოფელ ქსოვრეთში სასმელის წყლის სათავე ნაგებობის ქსელის მოწყობის ღირებულება შეადგენს - 5001,30 ლარს, სოფელ გუდარეხში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის - 9657,92 ლარს, ხოლო სოფელ ვაკეში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის - 9676,40 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, მათ შორის დღგ."

2. შეთანხმების მოქმედება

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელმოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.

3. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
TETRITSKARO MUNICIPALITY Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY Date: 2019.12.20 13:32:46 +04'00'	
_____	_____
გიორგი ქორიძე	ბონდო პაპასკირი
მუნიციპალიტეტის მერი	შპს ,,ნიუ ლუქ"-ის დირექტორი